ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.34/10/073

ქ. თბილისი 27 ნოემბერი 2014 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის მამუკა ჩოქურის სახით და მეორეს მხრივ შპს „მეგავატ. ჯი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორი ალექსანდრე ბელოუსოვის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვით სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი“ -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია – ქალაქ თბილისში მოსკოვის გამზირი №14-ში სამგორის რაიონის გამგეობის შენობის (ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. 14) შიდა და გარე კიბეების აღდგენითი სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით;

2.2. CPV კოდი 71520000.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2900 (რვაათასცხრაასი) ლარს და 00 თეთრს;
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;
3.3. ტენდერში წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;.
4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 20 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარება გაფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.3 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის აპარატის თანამშრომელ(ებ)ი.

6. ტექნიკური დავალება და მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა.

6.1 ქალაქ თბილისში მოსკოვის გამზირი №14-ში სამგორის რაიონის გამგეობის შენობის (ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. 14) შიდა და გარე კიბეების აღდგენითი სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა;
- სამშენებლო ობიექტის ტექნიკური ზედამხედველობა;
- საინჟინრო ნაგებობების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;
- სამშენებლო ობიექტზე გამოყენებული მასალებისა და კონსტრუქციების ხარისხის კონტროლი;
- სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლი (ხარისხი და სამუშაოთა მოცულობები);
- სამშენებლო ობიექტზე გამოყენებული მასალების და კონსტრუქციების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების არსებობის კონტროლი (პასპორტები, სერტიფიკატები) ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- გამოვლენილი დეფექტებისა და დარღვევების აღმოფხვრის პროცესების და მეთოდების კონტროლი;
- მშენებლის მიერ ორგანიზებული ფარული და შუალედური სამუშაოების მიღება და შესაბამისი დოკუმენტაციის ვიზირება;
- მშენებარე ობიექტზე ჯანმრთელობის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კონტროლი;
- შესრულებული სამუშაოთა მოცულობების და ხარჯთაღრიცხვასთან შესაბამისობის დადგენა, კონტროლი და შესრულებული სამუშაოთა აქტის (ფორმა №2) დადასტურება.
6.1 მომსახურების მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი. ნავთლუღის ქუჩა №8.1, ხოლო მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14.
6.2 მომსახურების მიწოდების ვადა-ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით.
12.2

13. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

14.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სამგორის რაიონის გამგეობა მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქ. №8-1 სს „ლიბერთი ბანკის“ ცენტრალური ფილიალი	შპს „მეგავატ-ჯი“ მის. ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №31 სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი
ა/ა GE95LB 0125152101627000	ა/ა GE02TB011 0093 6020 1000 07
კოდი LBRTGE22 საიდენტ. კოდი 206 351 598 ტელ. 231 88 86	კოდი TBCBGE22 საიდენტ. კოდი 204 573 096 ტელ. 593 33 15 96
გამგებელი	დირექტორი
_____ მ. ნოქერი	_____ ალ. ბელოუსოვი

2014 წლის 27 ნოემბრის №10,34/10/073 ხელშეკრულების დანართი 1

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

№	გასაწევი მომსახურების დასახელება	შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო მოცულობა, ლარი	ერთ. ფასი %	სულ, ლარი
1	რაიონის ტერიტორიაზე 18-მდე ერთეული ახალი სკვერის, დასასვენებელი კუთხის მოწყობის საპროექტო სამუშაოები და ხარჯთაღრიცხვის მომზადება, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე არსებული 10-მდე ერთეული სკვერის, დასასვენებელი კუთხის აღდგენა - შეკეთების დეფექტური აქტების მომზადება	85548.0	3.3899	2900.0
	სულ:	85548.0		2900.0

სამგორის რაიონის გამგებელი მამუკა ჩოქური

შპს „მეგავატ-ჯი"-ს დირექტორი ალექსანდრე ბელოუსოვი